სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

64675923533824

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241489108

რეგისტრაციის თარიღი

07.11.2024 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, **ორი ათას ოცდაოთხი** წლის შვიდი ნოემბერი. ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელთან სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, გამოცხადდა **შპს „ვიზა კონკორდ ფროფერთი“**-ს (რეგისტრირებული 26.12.2016 წელს, იურ. მისამართი: ქ. თბილისი, თბილისი, ტაშკენტის ქ. N 17, ბინა 5, ს/ნ 404526795) **დირექტორი რობერტ სილაგაძე** (დაბადებული 03.04.1984 წელს, რეგ. მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. N 17, ბინა 6, პირადი № 01011019198). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს **თამარ ფარესიშვილს** (დაბადებული 25.08.1996 წელს, პირადი № 01005034054) **შპს „ვიზა კონკორდ ფროფერთი“**-ს საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B24113671. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

ორი ათას ოცდაოთხი წლის შვიდ ნოემბერს, მე, **შპს „ვიზა კონკორდ ფროფერთი“**-ს (ს/კ 404526795) დირექტორი **რობერტ სილაგაძე** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), შემდგომში „მიმნდობი“, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **თამარ ფარესიშვილს** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), შემდგომში „მინდობილს“, მასზედ, რომ მან წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები საზოგადოების კუთვნილ უძრავ ნივთთან დაკავშირებით, მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 44; ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 35,** ს/კ N 01.15.05.008.016.10.501. აწარმოოს შიდა სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასევე გარე ფასადზე განათავსოს სარეკლამო აბრა, შეასრულოს ყველა საჭირო პროცედურა სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით. შეათანხმოს, წარადგინოს, მიიღოს პროექტები, მოახდინოს პროექტის კორექტირება/ცვლილება/ვადის გაგრძელება, აიღოს საჭირო თანხმობები, ნებართვები. იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში, გამგეობაში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების კომპანიებში, თელასში, თელმიკოში, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში, დასუფთავების სამსახურში, მოახდინოს აბონენტის ცვლილება. გამოითხოვოს, მიიღოს, წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, მოწმობა, ამონაწერი, ინფორმაცია, შეიტანოს განცხადებები, მათ შორის ელექტრონულად, დაარეგისტრიროს/ატვირთოს დოკუმენტები, გადაიხადოს გადასახდელები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან, **უძრავი ნივთის განკარგვის უფლების გარეშე.**

მინდობილობა გაცემულია 2025 წლის 07 მაისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B24113671.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის შესაბამისად, 30.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 5.40 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 40.40 ლარი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი